

პროგრამის აღწერა

დისტანციური კონფერენცია სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დაინტერესებულ პირებს შორის საქართველოში პოლიტიკური შედეგების მისაღწევად მასობრივი განადგურების იარაღის მიზანმიმართულ გამოყენებაზე რეაგირებასთან დაკავშირებით კომუნიკაციის ხელშეწყობაში

აღწერა: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საფრთხეების ერთობლივი შემცირების სამსახურის სახელით, CRDF Global-ი გაუძღვება მიზნობრივი პოლიტიკური შედეგების მისაღწევად მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) მიზანმიმართულ გამოყენებასთან ბრძოლის შესახებ გამართულ დისტანციურ კონფერენციას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთათვის, რომელთაც გააჩნიათ სპეციალიზაცია ეროვნული უსაფრთხოების, გამოყენებითი მეცნიერებებისა და საჯარო კომუნიკაციების სფეროებში. აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სახელმწიფო სუბიექტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით მიზანმიმართული თავდასხმის რეალური საფრთხის არსებობა. გადაწყვეტილებების მიმღებ პოლიტიკური თანამდებობის პირებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების საკითხებში ექსპერტებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ამგვარი სახის თავდასხმების იდენტიფიცირებაში, დამნაშავეთა გამოვლენასა და ამ თავდასხმებზე რეაგირებაში. CRDF Global-ის წამყვანი ექსპერტებისგან დაკომპლექტებული გუნდი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიების საკითხებში, ასევე მისი საერთაშორისო პარტნიორები, გამოკვეთენ WMD-ის გამოყენებასთან დაკავშირებულ ძირითად საფრთხეებს და საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების წევრ დაინტერესებულ პირებს მიაწვდიან ზოგად ინფორმაციას იმ ფორმალური და არაფორმალური როლის შესახებ, რომელიც მათ უნდა შეასრულონ გამოძიებათამხარდაჭერაში და შეცდომაში შემყვან საჯარო მსჯელობებთან შედაგების დროს. მონაწილეებს წაახალისებენ საკუთარ თანამშრომლებს შორის, ამ საკუთესო გამოცდილებისა და მის შედეგად გაკეთებული დასკვნების გავრცელებაში, რის შედეგადაც უნდა მივიღოთ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დაინტერესებული პირების უფრო მაღალი ხარისხის მზადყოფნა WMD-ს გამოყენებით განხორციელებადი შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში.

აუდიტორია: მონაწილეთა შორის იქნებიან საქართველოს ანალიტიკური ლაბორატორიების მეცნიერები როგორც საჯარო, ისევე კერძო სექტორის ორგანიზაციებიდან და ექსპერტები ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში არასამთავრობო სექტორიდან, მათ შორის ყოფილი ოფიციალური პირები ხელისუფლებიდან. იმ ფიზიკურ პირებს, რომელთაც მათი კომპეტენციის საფუძველზე შესაძლოა WMD-ს გამოყენებით განხორციელებულ მიზანმიმართულ თავდასხმასთან დაკავშირებულ ოფიციალურ საგამოძიებო ღონისძიებებში თანამშრომლობა მოსთხოვონ და რომელთათვისაც შესაძლოა სპეციალურ აღჭურვილობასთან წვდომა დაიშვას, განსაკუთრებით ვურჩევთ მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულში, ისევე როგორც იმ ლიდერებს, რომელთაც შეუძლიათ განმარტებები გააკეთონ მოსალოდნელ WMD-ს გამოყენებით განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით არსებულ მსჯელობებში.

ჟურნალისტებსა და მასმედიის სხვა წამრმომადგენლებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობის მიღება საზოგადოების ინფორმირებაში მათი მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე.

ტრენერები და პარტნიორი ორგანიზაციები: WMD-ის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში წამყვანი ექსპერტები, ისევე როგორც მონაწილეთა კოლეგები მთელი მსოფლიოდან, გაგაცნობენ ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებების შემსწავლელ მეცნიერებებს. ექსპერტები გადაჭრით ისაუბრებენ სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესებულ პირებს შორის კოორდინირების საკითხების შესახებ.

კონფერენციის სამუშაო გეგმა და მონაწილეთათვის დაგეგმილი ღონისძიებები: კონფერენცია გაიმართება 2021 წლის 28 და 29 სექტემბერს შემდეგ საათებში: 6:00-8:00 აღმოსავლეთის დროით/14:00-16:30 საქართველოს სტანდარტული დროით. ღონისძიება გაიმართება სრულად დისტანციურად Zoom-შეხვედრის უსაფრთხო პლატფორმის გამოყენებით. კონფერენცია შედგება ყოველ დღე ერთი სესიის სახით, რომელიც გაგრძელდება 150 წუთის მანძილზე. აღნიშნული სესიები მოიცავს CRDF Global-ის ექსპერტების პრეზენტაციებს, ასევე დისკუსიებსა და კითხვა-პასუხის სესიებს. მონაწილეები ასევე მიიღებენ მონაწილეობას ინტერაქტიულ სამაგიდო სწავლებაში, რომელიც შექმნილია WMD-ის გამოყენებით განხორციელებული თავდასხმის სიმულაციებისათვის. სწავლების საგანია არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის კოორდინირების უზრუნველყოფა და ინფორმაციის გაცვლა, ასევე, საზოგადოებრივი კომუნიკაციის არხების მეშვეობით, ფაქტობრივი მსჯელობების გამართვის ხელშეწყობა WMD-ს მიზანმიმართული გამოყენებით განხორციელებული თავდასხმის შემდეგ. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა, დარეგისტრირდეთ CRDF Global-ის მიერ მოწოდებულ ბმულზე.

სარეგისტრაციო ბმული: <https://forms.office.com/r/f5YF0cQzfX>

თემები: კონფერენციაზე განიხილება შემდეგი თემები:

- ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური იარაღის გამოყენებისგან წარმოშობილი საფრთხეების შემსწავლელი მეცნიერებები და მათი განვითარების ისტორია
- სტრატეგიული კომუნიკაცია: საუკეთესო გამოცდილება და შესაბამისი დასკვნები
- კონკრეტული შემთხვევების შესწავლა: სამოქალაქო საზოგადოების როლი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით მკვლელობის მცდელობის შემდეგ
- ექსპერტიზის გაზიარება და შეთანხმება სახელმწიფო პარტნიორებთან
- საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით სარგებლობა WMD-ის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადყოფნისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიზნით
- სარწმუნო და ფაქტებზე დამყარებულ საჯარო კომუნიკაციაში წვლილის შეტანა WMD-ის გამოყენებით განხორციელებული მკვლელობის შემთხვევის შესახებ
- რუსეთის სტრატეგიებისა და მიზნების გააზრება
- ინტერაქტიული სამაგიდო სწავლება: სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესებულ პირებთან კოორდინირება ფაქტობრივი მსჯელობების განსამტკიცებლად WMD-ის გამოყენებით განხორციელებული მკვლელობის ფაქტის შემდეგ



საკონტაქტო პირი:

ქ-ნი აზიგეილ სტოუვ-ზარსტონი
პროექტის ხელმძღვანელი, CRDF Global-ი
astowe-thurston@crdfglobal.org